ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 162

"26" აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №76-ში არსებული 17.65 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002.01.519) და 11.02 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №76-ში არსებული 17.65 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002.01.519) და 11.02 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 მარტის №24.502.582 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის №76, სართული 1 (შენობა №1)-ში არსებული 17.65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002.01.519) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №76, სართული 1 (შენობა №1)-ში არსებული 11.02 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, თამაზ ქეთიშვილისთვის (პ/ნ. 01008041941) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე